საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 20 02908853

15/12/2020

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ელდარ შენგელაიას

ბატონო ელდარ,

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად შესათანხმებლად გიგზავნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ატრიბუტიკაში ცვლილების შეტანის პროექტს. ცვლილება არ ეხება ლოგოს, იცვლება მხოლოდ მოქმედი ფერი. გარდა ამისა, მოსამსახურეთა სამღილიან მაისურზე, მკლავზე ემატება საქართველოს სახელმწიფო დროშა.

დანართი: პროექტი 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ობიექტების დაცვის დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
კალატოზიშვილი ზვიად

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პლანშეტი №6[1]

მამაკაცის ყოველდღიური ფორმა – ლურჯი მაისური (სამ ღილზე) მოკლე მკლავით, რომლის წინა მარცხენა მხარეს გამოსახულია ამავე დანართის №18 პლანშეტით დამტკიცებული ემბლემა; მარცხენა მკლავზე გამოსახულია ამავე დანართის პლანშეტი №19-ით დამტკიცებული წოდების აღნიშვნები; მარჯვენა მკლავზე გამოსახულია პლანშეტი №22-ით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო დროშა.

პლანშეტი №13[1]

ქალბატონის ყოველდღიური ფორმა – ლურჯი მაისური (სამ ღილზე) მოკლე მკლავით, რომლის წინა მარცხენა მხარეს გამოსახულია ამავე დანართის №18 პლანშეტით დამტკიცებული ემბლემა; მარცხენა მკლავზე გამოსახულია ამავე დანართის პლანშეტი №19-ით დამტკიცებული წოდების აღნიშვნები; მარჯვენა მკლავზე პლანშეტი №22-ით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო დროშა.

სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა საველე - ოპერატიული ფორმა

პლანშეტი №20

საველე-ოპერატიული ფორმა (საზაფხულო) – ხალათი აკეცილი ან ჩამოშვებული სახელოებით, ხალათი ჩატანებული ან ამოტანებული სახით, შარვალი და კეპი, დაფერვა კომუფლირებული (ლურჯი ციფრული); შავი ბერეტი; შავი ფერის მაისური; მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ფერი – შავი ან კოიოტი; ამავე დანართის პლანშეტი №22[1]-ით დამტკიცებული ატრიბუტიკა; ამავე დანართის პლანშეტი №19-ით დამტკიცებული წოდების აღნიშვნები.

საველე-ოპერატიული ფორმა (საზაფხულო) – ლურჯი მოკლემკლავიანი მაისური სამ ღილზე, რომლის წინა მარცხენა მხარეს გამოსახულია ამავე დანართის №18 პლანშეტით დამტკიცებული ემბლემა და №19 პლანშეტით დამტკიცებული წოდების აღნიშვნები; კომუფლირებული (ლურჯი ციფრული) შარვალი და კეპი; მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ფერი – შავი ან კოიოტი;

საველე-ოპერატიული ფორმა (ზამთრის) – ქურთუკი და შარვალი (მათბუნებლით), კომუფლირებული (ლურჯი ციფრული); ნაქსოვი ქუდი, ფერი – შავი ხელთათმანი ნაქსოვი, ფერი – შავი; შავი ფერის პულოვერი; შავი ფერის მაღალყელიანი ფეხსაცმელი; ფეხსაცმელი; ამავე დანართის პლანშეტი №19-ით დამტკიცებული წოდების აღნიშვნები და საქართველოს დროშა.

პლანშეტი №22

საველე-ოპერატიული უნიფორმის განმასხვავებელი ატრიბუტიკა – სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის შევრონი: სამკლავე დანაკერი, რომელზეც გამოსახულია ორი გადაჯვარედინებული, ზევიდან ქვევით მიმართული ხმალი და ლომი; ზემოთ, ქართული ასოებით „ობიექტების დაცვის დეპარტამენტი“, ქვემოთ კი „შსს“; შევრონი: სამკლავე დანაკერი, რომელზეც გამოსახულია სამინისტროს ემბლემა; წარწერა სამკლავე - ლათინურ ენაზე „FACILITIES PROTECTION DEPARTMENT“; ქუდის კოკარდა, რომელზეც გამოსახულია ორი გადაჯვარედინებული, ზევიდან ქვევით მიმართული ხმალი და ლომი; ზემოთ,

ქართული ასოებით „ობიექტების დაცვის დეპარტამენტი“, ქვემოთ კი „შსს“; საქართველოს დროშა; დანაკერი სამკერდე წარწერა „საქართველო“; სამკერდე წარწერა ქართულ ენაზე: მოსამსახურის გვარი.